საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 9 23 0000543304

15/05/2023

,,2023-2024 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 28 თებერვლის N240185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 15 მაისის N537509 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2023-2024 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 28 თებერვლის N240185 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

,,1^1 საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის დამატებითი ვადები (I ეტაპი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) ელექტრონული რეგისტრაციისათვის - 2023 წლის 22 მაისიდან 2023 წლის 23 მაისის ჩათვლით პერიოდი;
ბ) დოკუმენტების წარდგენისათვის - 2023 წლის 24 მაისიდან 2023 წლის 02 ივნისის ჩათვლით პერიოდი.";
ბ) მე-2 - მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად (II ეტაპი) 2023 წლის 2 მაისიდან 2023 წლის 19 მაისის ჩათვლით პერიოდი განისაზღვროს იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვის, რომელთა:
ა) და-ძმაც სწავლობს ამ საჯარო სკოლაში;
ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია;
გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.
3. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საყოველთაო რეგისტრაციის (III ეტაპი) ვადად იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ბრძანების პირველი - მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა წრეს, განისაზღვროს 2023 წლის 08 ივნისიდან 2023 წლის 23 ივნისის ჩათვლით პერიოდი.
4. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2023 წლის 26 ივნისიდან 2023 წლის 12 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
5. ამ ბრძანების პირველი - მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ/თავისუფალ ადგილებზე (IV ეტაპი) მოსწავლის რეგისტრაციისა და საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 17 ივლისიდან 2023 წლის 28 ივლისის ჩათვლით პერიოდი.".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი
გიორგი ამილახვარი